საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი

კონკურსი: “ ნახატები ბიბლიურ თემებზე”

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე და აგრეთვე საზღვარგარეთ არსებულ ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს.
2. კონკურსი ჩატარდება სამ ასაკობრივ ჯგუფში :
   - 2.1. პირველი ჯგუფი - უმცროსი ასაკის (6-დან 9 წლამდე) მოსწავლეები;
   - 2.2 მეორე ჯგუფი - საშუალო ასაკის (10-დან 14 წლამდე) მოსწავლეები;
   - 2.3 მესამე ჯგუფი - უფროსი ასაკის (15-დან 18 წლამდე) მოსწავლეები;

განაცხადის მიღების წესი

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს თავისუფალ თემაზე შესრულებული სამი ნახატი.

3.1 ნამუშევრებს თან უნდა ერთვოდეს კონკურსისათვის შედგნილი სპეციალური ბლანკი.

კონკურსის ჩატარების წესი

4. კონკურსი შედგება სამი ტურისაგან:

4.1 პირველი ტური დაიწყება 2010 წლის ივნისის თვეში და კონკურსანტებს დაევალებათ ზაფხულის განმავლობაში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) საშინაო დავალების სახით შეასრულონ შვიდი ნახატი ძველი და ახალი აღთქმიდან, სპეციალურად შერჩეული თემების მიხედვით.

4.1.[1] კონკურსანტებმა საშინაო დავალება უნდა წარმოადგინონ ამა წლის სექტემბრის ბოლომდე.

პირველ ტურში არცერთი მონაწილე არ ეთიშება კონკურსს.

4.2 **II ტური** – მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოეწყობა ხატვის დღე, სამების საკათედრო ტაძრის ეზოში.

4.3 ხატვის დაწყებამდე კონკურსანტებმა უნდა გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის გავლის შემდეგ თითოეულს გადაეცემა იმ შვიდი თემის ჩამონათვალი ძველი და ახალი აღთქმიდან, რომელთა მიხედვითაც უნდა შეასრულონ ნამუშევრები **III ტურში** (მომდევნო სამი თვის განმავლობაში, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი)

4.4. ხატვის დაწყებამდე კონკურსანტებმა უნდა მოისმინონ ერთი თავი წმინდა წერილიდან და სასურველი ეპიზოდის მიხედვით უნდა შეასრულონ ერთი ნახატი.

4.5. ხატვის პროცესი გაგრძელდება 5 საათის განმავლობაში.

4.6. ხატვის დასრულების შემდეგ კონკურსანტმა ნამუშევარი უნდა ჩააბაროს სარეგისტრაციო პუნქტში.

4.7 II ტურში არცერთი კონკურსანტი არ ეთიშება კონკურსს.

4.8. მესამე ტურში შესრულებული ნამუშევრები კონკურსანტებმა უნდა წარმოადგიონ მიმდინარე წლის თებერვლის ბოლომდე.

გამარჯვებულის გამოვლენა

5. **III ტურის** დასრულების შემდეგ ჟიური გამოავლენს საუკეთესო ნამუშევრებს.

5.1. საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საგამოფენო დარბაზში.

5.2. საბოლოოდ გამოვლინდება სამი გამარჯვებული პირველ, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს გადაეცემათ სპეციალური სიგელები და წამახალისებელი საჩუქრები.

5.3. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა სპეციალური სიგელი კონკურსში მონაწილეობისათვის

5.4. ჟიურის შემადგენლობა:

6. ჟიურის წევრთა რაოდენობა შეიძლება იყოს სამიდან ხუთამდე.

6.1. ჟიური დაკომპლექტებულია კომპეტენტური პირებისაგან, რომლებიც გამოავლენენ საუკეთესო ნამუშევრებს.